სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: **სოციალური მუშაობა Social Work**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **სოციალური მუშაობის მაგისტრი Master of Social Work**

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანია სოციალური მუშაობის პროფესიონალი პრაქტიკოსების, მკვლევარებისა და მომავალი აკადემიური პერსონალის მომზადება.

სამაგისტრო პროგრამა გამიზნულია უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური სოციალური მუშაკების მომზადება, რომლებიც პროფესიულ ეთიკასა და ღირებულებებზე დაყრდნობით, განახორციელებენ უშუალო პრაქტიკას, ხელს შეუწყობენ სოციალური მომსახურებების, პროგრამებისა და პოლიტიკის ფორმირების პროცესში ადამიანების უფლებების და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას.

პროგრამა ახდენს პროფესიული და აკადემიური სტანდარტების ინტეგრაციას, ამზადებს ღრმა პროფესიული ცოდნისა და კრიტიკული რეფლექსიის უნარის მქონე სოციალურ მუშაკებს, რომლებიც დაინტერესებული არიან თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებით; ახელოვნებს მათ კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებაში, რათა მოამზადოს ისინი როგორც პრაქტიკული საქმიანობის, ასევე სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

სტუდენტები სათანადოდ ემზადებიან როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ისინი ხელოვნდებიან კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში, ეცნობიან სოციალური სისტემების ფუნქციონირების მექანიზმებს, ეწაფებიან პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტებს. მათ ასევე, აქვთ უნარი მომიჯნავე დარგებში დაგროვებული კრიტიკული ცოდნა გამოიყენონ მომსახურების მიმწოდებელ სისტემებთან/მომსახურების მიმღებ პირებთან მუშაობისას და მზად არიან პროფესიული მხარდაჭერა გაუწიონ მათი ინდივიდუალიზმის, განსხვავებულობის აღიარებითა და გათვალისწინებით.

სამაგისტრო პროგრამა, პრაქტიკული სწავლების კომპონენტის ფარგლებში (სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკული საქმიანობა განახორციელონ 60-მდე ორგანიზაციაში, სადაც სოციალური მუშაობა ხორციელდება სხვადასხვა დონეზე და სფეროში), სტუდენტებს ათვისებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს სწავლის პროცესშივე და ამით ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

პროგრამა ასევე, ეხმარება სტუდენტებს უნივერსიტეტისა და პროფესიის ამოცანების წამოწევაში: მხარი დაუჭირონ სოციალური მუშაობის განვითარებას ახალ სფეროებში, როგორც საჯარო, ასევე არასამთავრობო სექტორში; გააძლიერონ პრაქტიკა, პროგრამები და პოლიტიკა იმგვარად, რომ ადამიანებმა საკუთარი რესურსებისა და შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენონ; წვლილი შეიტანონ ადამიანთა ხარისხიანი ცხოვრების ხელშემწყობი ფაქტორების გაძლიერებასა და ხელშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა სპეციალობაში[1].

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

- **ახორციელებს** სოციალურ მუშაობას პროფესიული ეთიკის ნორმებსა და ღირებულებებზე დაყრდნობითა და პიროვნული მრავალფეროვნებების გათვალისწინებით როგორც მონოდისციპლინურ, ასევე მულტიდისციპლინურ ფორმატში;
- **იცნობს** სოციალური მუშაობის მეცნიერულ საფუძვლებს, მეთოდებსა და მიდგომებს;
- **იცნობს** თვისებრივი და რაოდენობრივი სოციალური კვლევის მეთოდებს;
- **კრიტიკულად იაზრებს** სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტს;
- **კრიტიკულად აანალიზებს** სოციალური პროგრამების ეფექტიანობას;

---

[1] გამოცდა სპეციალობაში ორი კომპონენტისაგან შედგება: წერითი გამოცდა და გასაუბრება. წერითი გამოცდა შეადგენს საბოლოო შეფასების 40 პროცენტს, ხოლო გასაუბრება 60 პროცენტს.
პირველ ეტაპზე სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველები წერენ ესსეს საგამოცდო კომისიის მიერ განსაზღვრულ თემაზე. წარმოდგენილი ესსეს მიხედვით ფასდება სწავლის მსურველთა ცოდნის დონე სოციალური მუშაკის პროფესიულ როლზე მიმდინარე სოციალურ მოვლენებში. ესსე შეადგენს საბოლოო შეფასების 40 პროცენტს. ის ფასდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- პროფესიული როლის გააზრების ხარისხი - 20 ქულა
- არგუმენტაციის უნარი - 10 ქულა
- კრიტიკული ანალიზის უნარი - 10 ქულა

ესსეს მოცულობა უნდა იყოს არაუმეტეს 3 გვერდი
მეორე ეტაპზე სტუდენტები გაივლიან გასაუბრებას სპეციალობასა და უცხო ენაში პროგრამის ხელმძღვანელისა და მიმართულების აკადემიურ პერსონალისაგან დაკომპლექტებული კომისიის წინაშე. გასაუბრება შეადგენს საბოლოო შეფასების 60 პროცენტს.

- **აფასებს** მოვლენას/სიტუაციას და ირჩევს შესაბამის ჩარევას.

უნარი

- სიღრმისეულ ცოდნასა და ანალიზზე დაყრდნობით, **პრაქტიკაში იყენებს** სოციალური მუშაობის მოდელებსა და მეთოდებს;
- **შეისწავლის და აანალიზებს** სოციალურ პრობლემებს/მოვლენებს თვისებრივი და რაოდენობრივი სოციალური კვლევის მეთოდების კონსოლიდაცით;
- კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით **გეგმავს და ახორციელებს** ჩარევას;
- **აქვს** დაუცველ და რისკის ქვეშ მყოფ კლიენტთა სისტემების სოციალური პრობლემებისადმი კრიტიკული ხედვის ჩამოყალიბების, წარდგენისა და გადაჭრის გზების გააზრების უნარი;
- **ახორციელებს** სოციალური მუშაობის ჰოლისტურ პრაქტიკას;
- დამოუკიდებლად **ახორციელებს** კონსულტირებას პროფესიული ზრდისა და კლიენტთა სისტემებისათვის ეფექტიანი პროფესიული მხარდაჭერის მიზნით;
- კლიენტთა სისტემ(ებ)ის არსებული რესურს(ებ)ის შეფასების, ჩარევის დაგეგმვის, გაძლიერებისა და სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, **ადოკატობს** მათ სოციალური უფლებების დაცვას, დადებითი სოციალური ცვლილებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების მიზნით.

პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა

- **განსაზღვრავს** ცოდნის გაღრმავების საჭიროებას;
- **ახდენს** ახალი იდეების გენერირებას;
- **კრიტიკულად აფასებს** საკუთარ პროფესიულ პრაქტიკას და ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე;
- **წარმართავს** დისკუსიას, წარადგენს საკუთარ მოსაზრებებს საჯაროდ;
- **უძღვება** სოციალური მუშაობის პრაქტიკის სუპერვიზიას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება, და ა.შ.;
- პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.
- დისკუსია, დებატები;

- ჯგუფური მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- შემთხვევის ანალიზი;
- გონებრივი იერიში;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს გარკვეულ თანაფარდობას შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას შორის. თითოეული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებაა 51 ქულა.

შუალედური შეფასებები შეიძლება დაეყრდნოს შემდეგ კომპონენტებს:

- საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება;
- წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები;
- შემთხვევის განხილვა;

შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხ კომპონენტზე დაყდნობით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. ზოგადი ჩარჩო კი მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

დადებითი შეფასება:

ფრიადი: 91-100 ქულა
ძალიან კარგი: 81 -90 ქულა
კარგი: 71 -80 ქულა
დამაკმაყოფილებელი: 61 -70 ქულა
საკმარისი: 51 - 60 ქულა

უარყოფითი შეფასება:

FX/ვერ ჩააბარა: 41 – 50 ქულა (სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება)
F/ჩაიჭრა: 0 – 40 ქულა (სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი).

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი:

- ნინო შატბერაშვილი - ასოცირებული პროფესორი
- სალომე ნამიჭეიშვილი - ასოცირებული პროფესორი
- თამარ მახარაძე - ასოცირებული პროფესორი
- მარინა ბურძენიძე - ასოცირებული პროფესორი
- თენგიზ ვერულავა - ასოცირებული პროფესორი
- 9 მოწვეული ლექტორი

დასაქმების სფეროები: ამჟამად, სოციალური მუშაობის მაგისტრატურის კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანია როგორც აკადემიურ/სამეცნიერო სფეროში, ისე პრაქტიკული საქმიანობის, სოციალური პოლიტიკის, სოციალური პროგრამების მართვის, კვლევითი საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით. მას შეუძლია სწავლის გაგრძელება დოქტურანტურაში. რაც შეეხება პრაქტიკას, სოციალური მუშაობის მაგისტრს შეუძლია დაიკავოს როგორც პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის, ასევე მენეჯერული პოზიციები იმ სახელმწიფო თუ კერძო სააგანტოებში, სადაც სოციალური მუშაობის მომსახურება ხორციელდება (ბავშვთა კეთილდღეობა, საგანმანათლებლო სფერო, მართლმსაჯულების სფერო, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფერო; ასევე მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა, დამოკიდებულების მქონე პირთა, აივ/შიდსით ინფიცირებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის საკითხებზე).

იმ პირობებში, როდესაც პრაქტიკული სოციალური მუშაობა გახდა რეგულირებადი და სოციალური მუშაობის განვითარება იგეგმება არა მხოლოდ ცენტრალურ (როგორც 2018 წლამდე იყო), არამედ მუნიციპალურ დონეზეც, მოთხოვნა სოციალური მუშაკებზე სულ უფრო იზრდება, რაც, ცხადია, აფართოებს სოციალურ მუშაკთა დასაქმების არეალს.

სოციალური მუშაობა, სხვა მხარდამჭერ პროფესიებთან შედარებით ახალი პროფესიაა საქართველოში და სრულიად რეალისტურია მისი განვითარება ახალ სფეროებში. ამაში კი კურსდამთავრებულთა როლი დიდია.

დამატებითი ინფორმაცია: პროგრამას შეუძლია მოემსახუროს საშუალოდ 25 სტუდენტს ყოველწლიურად.
სტუდენტებს პროგრამა სთავაზობს მოდულარულ სწავლებას. მათ შეუძულიათ პრაქტიკული სწავლების პროფილურ კომპონენტთან ერთად შეარჩიონ მინიმუმ ორი არჩევითი კურსი[2] (ე.ი. ორი თეორიული და ერთი პრაქტიკული კურსი, რაც მათ კონკრეტული სფეროსათვის ამზადებს) ოთხი სხვადასხვა სპეციალიზაციით:

- სოციალური მუშაობა ბავშვთა ზრუნვის სფეროში
- სოციალური მუშაობა მართლმსაჯულების სფეროში

[2] ზოგიერთი მოდულის ქვეშ პროგრამა სტუდენტს სთავაზობს სამ კურსს, საიდანაც ის საკუთარი შეხედულებისამებ აირჩევს ორს.

- სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში
- სოციალური მუშაობა საგანმანათლებლო სისტემაში.

ამასთან პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სპეციალობაში სამუშაო მეთოდების შერჩევის საშუალებასაც სოციალური მუშაობის სამ დონეზე: მიკრო (პირდაპირი პრაქტიკის განხორციელებით დაინტერესებული სტუდენტებისათვის), მეზო (ორგანიზაციული/მომსახურებების ადმინისტრირებით დაინტერესებულთათვის) და მაკრო (პოლიტიკის დონეზე მუშაობით დაინტერესებულთათვის). მათ შეუძლიათ სფეროების მიხედვით ბლოკირებული მოდულების პროფესიული პრაქტიკის სასურველ დონესთან კომბინირება.

სპეციალიზაციები შესაბამისობაშია საქართველოს *კანონთან სოციალური მუშაობის შესახებ,* რომელიც გვაცნობს ამ ეტაპზე პროფესიის განვითარების შესაბამის სფეროებს პირდაპირი პრაქტიკით დაინტერესებულთათვის. თუმცა, ის არ ზღუდავს პროფესიის განვითარებას სხვა სფეროებში. შესაბამისად, პროგრამა სტუდენტებს შესთავაზებს სამ საგანს კონკრეტული სპეციალიზაციით დაინტესების შემთხვევაში (ერთ სავალდებულოს და ორ არჩევითს). ხოლო სტუდენტებს, რომლებიც არ არიან დაინტერესებული პირდაპირი პრაქტიკის განხორციელებით სამაგისტრო სწავლების დასრულების შემდეგ, ან სურთ პირდაპირი პრაქტიკის განხორციელება სხვა სამიზნე ჯგუფებთან ან სფეროებში, შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ არჩევითი კურსები ამ კატეგორიზაციის გარეშე ე.ი. თავისუფალ რეჟიმში.

სწავლის გაგრძელების საშუალება: სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

- თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- უნივერსიტეტის რესურს ცენტრები;
- თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი;
- ელექტრონული ჟურნალები და ბაზები;
- უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა;
- სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი.

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების რესურს ცენტრი მოიცავს:

- ექვს გარემონტებულ ოთახს (ფართი დაახლოებით 140 კვ.მ.);

- ბიბლიოთეკას, დაახლოებით 1400 წიგნით სოციალური მეცნიერებების სფეროში;
- 22 უახლესი მოდელის კომპიუტერს;
- 24 საათიან ინტერნეტ მომსახურებას (უკაბელო ინტერნეტი);
- 5 პრინტერს;
- ქსეროკოპირების მანქანას;
- პროექტორს;
- ფაქსს, სკანერს და ა .შ.

რესურს ცენტრი ღიაა 9-დან 18 საათამდე სამუშაო დღეებში. რესურს ცენტრის მომსახურებით ყოველდღიურად სარგებლობს 50–ზე მეტი სტუდენტი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

სასწავლო გეგმა

უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
მიმართულება: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციალური მუშაობა
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო შატბერაშვილი, ასოცირებული პროფესორი.

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები/მოდულები												
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები - 85 კრედიტი (ECTS)*												
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდები			I	II	III	IV	
1	სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე	✓				ნინო ნუცუბიძე
2	სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა II	5	15	15	3	92	სოციალური მუშაობის		✓			ნინო ნუცუბიძე

							გაღრმავებული პრაქტიკა I					
3	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში I	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე	✓				თამარ მახარაძე
4	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში II	5	15	15	3	92	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში I		✓			თამარ მახარაძე
5	სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა: სოციალური მუშაობის პერსპექტივა	5	15	15	4	91	სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I & II			✓		ნინო შატბერაშვილი
6	სოციალური კვლევის მეთოდები I	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓				მარინა ბურძენიძე
7	სოციალური კვლევის მეთოდები II	5	15	15	5	90	სოციალური კვლევის მეთოდები I		✓			მარინა ბურძენიძე
8	სოციალური მუშაობის პრაქტიკა I	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓				ნინო შატბერაშვილი
9	სოციალური მუშაობის პრაქტიკა II[3]	5	15	15	4	91	სოციალური მუშაობის პრაქტიკა I		✓			მაგული შაღაშვილი
10	სოციალური მუშაობის პრაქტიკა III[4]	5	15	15	4	91	სოციალური მუშაობის პრაქტიკა II			✓		ნინო შატბერაშვილი/ გურანდა თეთრაძე
11	სოციალური ადვოკატობა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓				ნინო შატბერაშვილი
12	სამაგისტრო ნაშრომი	30								✓	✓	
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები - 25 კრედიტი (ECTS)**												
მოდული I												

[3] კურსი შეეთავაზებათ სტუდენტებს მათი კონკრეტული სფეროსადმი ინტერესის შესაბამისად

[4] კურსი შეეთავაზებათ სტუდენტებს მათი კონკრეტული სფეროსა და სამუშაო მეთოდებისადმი ინტერესის შესაბამისად

სოციალური მუშაობა ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში												
1	სოციალური მუშაობა და ბავშვთა კეთილდღეობა	5	15	15	4	91	სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I			✓		სალომე ნამიჭეიშვილი
2	ბავშვის განვითარება და მშობლებთან მუშაობა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓				ნინო შატბერაშვიილ გურანდა თეთრაძე
მოდული II **სოციალური მუშაობა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან**												
3	სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში	5	15	15	4	91	სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I			✓		სალომე ნამიჭეიშვილი
4	სოციალური მუშაობა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები[5]	5	15	15	4	91	სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I		✓			თინათინ ცერცვაძე
მოდული III **სოციალური მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში**												
5	სოციალური მუშაობა საგანმანათლებლ	5	15	15	3	92	სოციალური მუშაობის		✓			ნელი აკობია

[5] კურსი სტუდენტებს შეეთავაზებათ 2021-22 სასწავლო წელს

	ო სისტემაში[6]						გაღრმავებული პრაქტიკა I					
6	სოციალური მუშაობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებთან	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✓			ქეთევან გიგინეიშვილი
მოდული IV **სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში**												
7	სოციალური მუშაობა ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან	5	15	15	2	93	წინაპირობის გარეშე			✓		ზურაბ ტატანაშვილი
8	ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა:სოციალური მუშაობის პერსპექტივა[7]	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე		✓			თამარ მახარაძე
კურსები პრაქტიკის განხორციელების დონეების მიხედვით												
მიკრო პრაქტიკა												
9	კლინიკური გერონტოლოგია	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე			✓		მანანა ლაცაბიძე
10	ჯანმრთელობა და ქცევის ცვლილების თეორიები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓			ზურაბ ტატანაშვილი
მეზო პრაქტიკა												
11	სოციალური მომსახურების ხარისხი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✓			თენგიზ ვერულავა ნინო შატბერაშვილი

[6] კურსი სტუდენტებს შეეთავაზებათ 2021-22 სასწავლო წელს
[7] კურსი სტუდენტებს შეეთავაზებათ 2021-22 სასწავლო წელს

12	სოციალური მუშაობის პრაქტიკა და სოციალური პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓				მაგული შაღაშვილი
მაკრო პრაქტიკა												
13	სტატისტიკა	5	15	15	5	90			✓			ივანე კენჭაყმაძე
14	საერთაშორისო სოციალური მუშაობა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე			✓		ნინო შატბერაშვილი
15	ჯანდაცვის პოლიტიკა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე			✓		თენგიზ ვერულავა
სხვა კურსები												
16	კვლევითი პროექტი	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე			✓		თამარ მახარაძე
17	სპეციალური ინგლისური ენა სოციალურ მეცნიერებებში (სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	✓				ნინო ბოლქვაძე
თავისუფალი კურსები/მოდულები - 10 კრედიტი (ECTS)												

*ამოქმედდეს 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან
**ამოქმედდეს 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____
ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____
ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____
თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი